



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 49
13/03/2020

49-06-4-202003131545



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად მის წინააღმდეგ ერთიანი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად და „ახალი კორონავირუსის (COVID 19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის №529 განკარგულების, კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებების, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად, ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად, მის წინააღმდეგ ერთიანი ღონისძიებების განხორციელების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. სამსახურში არ გამოცხადდეს საკრებულოს წევრი, საკრებულოს თანამდებობის პირი, საჯარო მოსამსახურე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი:

ა) რომელიც ბრძანების ძალაში შესვლამდე ბოლო 7 კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იდენტიფიცირებულ ახალი კორონავირუსის მაღალი გავრცელების ქვეყანაში ან მოემგზავრება ასეთი ქვეყნის გავლით – საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;

ბ) რომელიც ბრძანების ძალაში შესვლის დროისთვის ან შემდეგ იმყოფება ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ქვეყანაში და დაბრუნდა საქართველოში – საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;

გ) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქვეყნიდან ჩამოსულ პირთან ან მასთან ერთად მცხოვრებ პირთან;

დ) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა იმ პირთან, რომელსაც დაუდასტურდა ახალი კორონავირუსი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირმა:

ა) ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული 2-კვირიანი პერიოდი გაატაროს თვითიზოლაციის წესების დაცვით

ბ) სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზისა და რისკუჯგუფში შემავალ პირთან კონტაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საკრებულოს აპარატის უფროსს, აგრეთვე აცნობოს

საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების მე-2 კატეგორიის უფროსს სპეციალისტს ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში და გადავიდეს თვითიზოლაციის რეჟიმში;

გ) შესაძლებლობის შემთხვევაში, სამუშაო შეასრულოს დისტანციურად, უშუალოდ ხელმძღვანელის მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად.

3. საკრებულოს თანამდებობის პირებმა, საკრებულოს წევრებმა, საკრებულოს საჯარო მოხელეებმა, შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებმა სამსახურეობრივ შენობაში (მათ შორის სამსახურეობრივ ოთახებში) უზრუნველყონ ჯანმრთელობის დაცვის პროტოკოლების, რეკომენდაციებისა და ჰიგიენის წესების დაცვა.

4. შეიზღუდოს სამსახურეობრივი მივლინებები, გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევებისა.

5. ეთხოვოს საკრებულოს შენობაში მყოფ ყველა პირს, დაიცვას ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჰიგიენის წესები.

6. საკრებულოს თანამდებობის პირებმა, საკრებულოს წევრებმა, საჯარო მოხელეებმა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულმა პირებმა მწვავე რესპირაციული დაავადების სიმპტომის არსებობის შემთხვევაში მიმართონ ექიმს, აგრეთვე აცნობოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს, საკრებულოს აპარატის შემთხვევაში, ხოლო საკრებულოს თანამდებობის პირებმა, საკრებულოს წევრებმა საკრებულოს თავმჯდომარეს, თუ საჭიროა თვითიზოლაციის რეჟიმში გადასვლა.

7. ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე:

ა) საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით შეიზღუდოს საკრებულოში, საკრებულოს სხდომათა დარბაზში თემატური საჯარო ღონისძიებების ორგანიზება გარეშე პირთა მონაწილეობით;

ბ) საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს გარეშე პირთა დაშვებისა და გადაადგილების რეგულირება;

8. საკრებულოს აპარატის უფროსმა, საკრებულოს აპარატის შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს თანამდებობის პირების შემთხვევაში, დავალებით განსაზღვრონ თანამშრომლების ის ნაწილი, რომელიც დროებით გადავა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე (კერძოდ, ის თანამშრომლები, რომელთა საქმიანობაც განსაკუთრებულად არ საჭიროებს სამუშაო ადგილზე ყოფნას და დისტანციურად შეასრულებენ სამუშაოს).

9. დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასვლა არ ნიშნავს სამუშაო საათების შემცირებას ან თანამშრომელთა შვებულებაში ყოფნას. საჭიროების შემთხვევაში, დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასული თანამშრომელი სამსახურში მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს 1 საათისა) უნდა გამოცხადდეს. ცნობად იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ამ ბრძანებით გათვალისწინებულ პირებს უნარჩუნდებათ შრომის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. საკრებულოს შენობაში მყოფ ყველა პირმა, დაიცვას ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჰიგიენის წესები.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14).

12. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო